სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური

დირექტორის

ბრძანება № 111

2014 წლის 12 ოქტომბერი

ქ. თბილისი

**დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსის გამოცხადების, საგრანტო პროექტების წარდგენის და განხილვის ვადების, განაცხადის ფორმების და თანდართული დოკუმენტაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ**

„დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 სექტემბრის N128/ნ ბრძანებით დამტკიცებული „დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების წესი და პირობები“-ს მე-6 მუხლის პირველი პუნქტის, მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“, „ე“ და „თ“ ქვეპუნქტების საფუძველზე

**ვბრძანებ:**

1. გამოცხადდეს 2014 წლის 12 ნოემბერს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების კონკურსი (შემდგომში კონკურსი).
2. კონკურსში მონაწილეობისათვის დოქტორანტი პროექტს არეგისტრირებს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) ელექტრონულ ბაზაში. პროექტის რეგისტრაცია ხდება ფონდის ვებგვერდიდან: www.rustaveli.org.ge.
3. პროექტის ელექტრონული რეგისტრაცია შესაძლებელი იქნება 2014 წლის 1 დეკემბრიდან 21 დეკემბრის 24 სთ-მდე; კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების ფონდში წარმოდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2014 წლის 23 დეკემბერი, 18:00 საათი;
4. პროექტი შედგენილი უნდა იქნეს სახელმწიფო ენაზე;
5. საკონკურსოდ საჭიროა შემდეგი დოკუმენტაციის წარმოდგენა:

ა) განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ, რომელიც შეიცავს უნივერსიტეტის მხარდაჭერის წერილს, დანართი N1-ის მიხედვით (გენერირდება ფონდის ელექტრონული ბაზის მიერ პროექტის საბოლოო წარდგენის შემდეგ) ;

ბ) საპროექტო წინადადება დანართი N2-ის მიხედვით (უნდა აიტვირთოს ელექტრონულ ბაზაში, PDF ფაილის სახით );

გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (უნდა აიტვირთოს ელექტრონულ ბაზაში დასკანერებული, PDF ფაილის სახით);

დ) ცნობა სწავლის ადგილიდან (უნივერსიტეტიდან, რომ იგი ჩარიცხულია ან სწავლობს დოქტორანტურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე) (უნდა აიტვირთოს ელექტრონულ ბაზაში დასკანერებული, PDF ფაილის სახით);

ე) დოქტორანტის წინა აკადემიური მოსწრების დამადასტურებელი დოკუმენტი (პირველი სემესტრის დოქტორანტები წარმოადგენენ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დიპლომს და ნიშნების ფურცელს (GPA-ს გაანგარიშებით), მე-2 და შემდეგი სემესტრების დოქტორანტები - წინა სემესტრების აკადემიური მოსწრების შესახებ ცნობას) უნდა აიტვირთოს ელექტრონულ ბაზაში დასკანერებული PDF ფაილის სახით;

ვ) დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე უნივერსიტეტის მიერ დადგენილი საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კომპონენტს შორის კრედიტების განაწილებისა და დოქტორანტის მიერ მოპოვებული კრედიტების შესახებ ინფორმაცია მეორე და შემდგომი სემესტრის დოქტორანტის მიერ პროექტის წარდგენის შემთხვევაში. (უნდა აიტვირთოს ელექტრონულ ბაზაში დასკანერებული, PDF ფაილის სახით)

ზ) ცნობა უნივერსიტეტიდან დისერტაციის ხელმძღვანელის თანამდებობის შესახებ. (უნდა აიტვირთოს ელექტრონულ ბაზაში დასკანერებული, PDF ფაილის სახით);

თ) დისერტაციის ხელმძღვანელის რეკომენდაცია დანართი 4-ის მიხედვით;

ი) ცნობა უნივერსიტეტიდან სწავლის საფასურის შესახებ; (უნდა აიტვირთოს დასკანერებული, PDF ფაილის სახით).

6. პროექტების უცხოელი ექსპერტებისათვის შეფასების შესაძლებლობის მიზნით დოქტორანტებმა ამ ბრძანების მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტებთან ერთად ინგლისურ ენაზე ფონდში უნდა წარმოადგინონ:

ა) საპროექტო წინადადება დანართი N2-ის მიხედვით თარგმანი;

ბ) დოქტორანტის წინა აკადემიური მოსწრების დამადასტურებელი დოკუმენტი (პირველი სემესტრის დოქტორანტები წარმოადგენენ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დიპლომს და ნიშნების ფურცელს, მე-2 და შემდეგი სემესტრების დოქტორანტები - წინა სემესტრების აკადემიური მოსწრების შესახებ ცნობას) თარგმანი, უნდა აიტვირთოს ელექტრონულ ბაზაში დასკანერებული PDF ფაილის სახით;

გ) დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე უნივერსიტეტის მიერ დადგენილი საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კომპონენტს შორის კრედიტების განაწილებისა და დოქტორანტის მიერ მოპოვებული კრედიტების შესახებ ინფორმაცია მეორე და შემდგომი სემესტრის დოქტორანტის მიერ პროექტის წარდგენის შემთხვევაში. თარგმანი, (უნდა აიტვირთოს ელექტრონულ ბაზაში დასკანერებული, PDF ფაილის სახით)

დ) დისერტაციის ხელმძღვანელის რეკომენდაცია დანართი 4-ის მიხედვით; თარგმანი.

7. დოქტორანტს სურვილის შემთხვევაში პროექტის წარდგენისას შეუძლია ატვირთოს დამატებითი ინფორმაცია პროექტის შესახებ, კერძოდ: იმ შემთხვევაში თუ პროექტი ითვალისწინებს უცხოეთში სამეცნიერო ვიზიტს, შესაბამისი მოწვევის/თანხმობის წერილი; დოქტორანტის მიერ ოლიმპიადებზე და/ან სხვა სამეცნიერო კონკურსებში მოპოვებული ჯილდოების დამადასტურებელი დოკუმენტი; სამეცნიერო პუბლიკაციები (ჟურნალის/მონოგრაფიის სატიტულო გვერდი, სარჩევი ავტორის გვარის მითითებით,

პუბლიკაციის/ნაშრომის პირველი გვერდი); კვლევით ან პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული სერთიფიკატი (უნდა აიტვირთოს დასკანერებული, PDF ფაილის სახით);

8. პროექტის რეგისტრაციამდე დოქტორანტს და დისერტაციის ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეთ გავლილი ფონდის ვებგვერდზე მეცნიერის ელექტრონული რეგისტრაცია, ქართულ და ინგლისურ ენაზე;

9. პროექტის ელექტრონული რეგისტრაციის ბოლო საფეხურია პროექტის საბოლოო წარდგენა. პროექტის საბოლოო წარდგენის შემდეგ პროექტის ატვირთული ვარიანტის რედაქტირება შეუძლებელი იქნება.

10. პროექტის საბოლოო წარდგენის შემდეგ ელექტრონული ბაზა მიანიჭებს პროექტს უნიკალურ შიფრს და დააგენერირებს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსში პროექტის წარმომდგენი დოქტორანტის განცხადებას კონკურსში მონაწილეობის შესახებ, რომლის ნაბეჭდი ვარიანტი სათანადო ხელმოწერებითა და ბეჭდით დამოწმებული წარმოდგენილ უნდა იქნას ფონდის კანცელარიაში.

11. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსში პროექტის წარმომდგენი დოქტორანტის კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების, ფონდის კანცელარიაში წარდგენის გარეშე, პროექტი კონკურსში დარეგისტრირებულად არ ჩაითვლება, მიუხედავად ელექტრონული რეგისტრაციის დასრულებისა.

12. საგრანტო ხელშეკრულება გაფორმდება მხოლოდ აქტიური სტატუსის მქონე გამარჯვებულ დოქტორანტთან;

13. დამტკიცდეს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;

14. დამტკიცდეს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსის საპროექტო წინადადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად;

15. დამტკიცდეს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსში პროექტის შეფასებისათვის საჭირო ექსპერტების რაოდენობა, პროექტის საბოლოო ქულის დაანგარიშების მექანიზმი და თანაბარქულიან პროექტებს შორის უპირატესის გამოსავლენად შეფასების კრიტერიუმებს შორის პრიორიტეტული კრიტერიუმები" ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;

16. დამტკიცდეს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსში დისერტაციის ხელმძღვანელის რეკომენდაციის ფორმა ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;

17. დამტკიცდეს ფონდის მიერ გამოცხადებული დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსის ადმინისტრირების გეგმა-გრაფიკი დანართი N5-ის შესაბამისად;

18. დამტკიცდეს ფონდის მიერ გამოცხადებული დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსზე წარსადგენი პროექტის ბიუჯეტის ფორმა ამ ბრძანების დანართი N6-ის შესაბამისად;

18. კონკურსზე წარდგენილი საკონკურსო განაცხადების საგრანტო კონკურსის პირობებთან შესაბამისობის დადგენასა და ტექნიკური ექსპერტიზის ჩატარებისათვის შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) ზურაბ ბრაგვაძე - სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის კონსულტანტი (სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი);

ბ) ანი ჩიქოვანი - სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო პროგრამების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

გ) გელა ჯავახიშვილი - სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის კონსულტანტი კვლევებისა და უმაღლესი განათლების საკითხებში;

დ) დავით ჩიჩუა - სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო პროგრამების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;

ე) ლევან ჭაჭია - სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო პროგრამების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;

ვ) ვაჟა ლომიძე - ფონდის სამეცნიერო პროგრამების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;

ზ) მარიამ იაშვილი - სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

თ) მადონა გვიდიანი - ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;

ი) თამარ ბოკუჩავა - ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;

კ) მალხაზ ხოფერია - სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური და მატერიალური რესურსების დეპარტამენტის უფროსი;

ლ) თინათინ ლომსაძე - სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური და მატერიალური რესურსების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი.

მ) ქეთევან ბიჩინაშვილი - ფონდის მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

ნ) ვახტანგ ჩქარეული - ფონდის მონიტორინგის დეპარტამენტის მთავარი პსეციალისტი.

18. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტს წინამდებარე ბრძანების საჯარო გაცნობისათვის განთავსება ფონდის ვებ–გვერდზე: www.rustaveli.org.ge.

19. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

20. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მარინე ჩიტაშვილი

**დანართი N1**

**დამტკიცებულია**
**სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური**
**დირექტორის 2014 წლის 12 ნოემბრის N 111 ბრძანებით**

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსში მონაწილეობის შესახებ

## განცხადება

ვადასტურებთ, რომ გავეცანით „დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 სექტემბრის ბრძანებას და სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის ბრძანებას და ხელმოწერით ვაცხადებთ თანხმობას კონკურსის პირობებზე. ასევე ვადასტურებთ, რომ ფონდის ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ინფორმაცია ზუსტია და არ შეიცავს ყალბ მონაცემებს. ვაცნობიერებთ, რომ ფონდი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს გადაამოწმოს მოწოდებული ინფორმაციის სიზუსტე და რაიმე სიყალბის ან ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში მოხსნას წარმოდგენილი პროექტი დოქტორანურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების საგრანტო კონკურსიდან.

1.პროექტის შიფრი DO/--/---/14

2.პროექტის სახელწოდება----------

3.პროექტის ბიუჯეტი (ლარი)----------

| დოქტორანტის სახელი, გვარი | სადოქტორო პროგრამის დასახელება | ხელმოწერა |
|---|---|---|
| | | |

| დოქტორანტის დისერტაციის ხელმძღვანელი სახელი, გვარი | თანამდებობა | ხელმოწერა |
|---|---|---|
| | | |

| | | |
|---|---|---|
| დოქტორანტის დისერტაციის თანახელმძღვანელის სახელი, გვარი *(არსებობის შემთხვევაში)* | თანამდებობა | ხელმოწერა |
| | | |

ზემოაღნიშნულთან ერთად უნივერსიტეტი გამოხატავს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსში დოქტორანტის მონაწილეობის მხარდაჭერას.

| | | |
|---|---|---|
| უნივერსიტეტის დასახელება | უნივერსიტეტის უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელი, გვარი | ხელმოწერა |
| | | |

ბეჭედი

**დანართი 2**

**დამტკიცებულია**
**სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური**
**დირექტორის 2014 წლის 12 ნოემბრის N111 ბრძანებით**

# დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსში წარმოსადგენი საპროექტო წინადადების ფორმა

## 1. პროექტის სამეცნიერო კომპონენტის აღწერა

1.1 <u>საკვლევი თემატიკის მეცნიერული სიახლე და აქტუალურობა</u> (მოკლედ მიმოიხილეთ პროექტში დაგეგმილი კვლევა; აღწერეთ კვლევის ობიექტი და კვლევის სტრატეგია; პრობლემის კვლევის თანამედროვე მდგომარეობა, მეცნიერული სიახლე. დასაბუთება, თუ რატომ არის პროექტი მნიშვნელოვანი და აქტუალური; (არაუმეტეს 1000 სიტყვა)

**1.2** <u>დაგეგმილი აქტივობების აღწერა</u> (აღწერეთ: პროექტის ძირითადი ეტაპები, შესასრულებელი ამოცანები და დაგეგმილი ღონისძიებები და შედეგები საანგარიშო პერიოდების მიხედვით) (არაუმეტეს 1000 სიტყვა)

**ამოცანების ჩამონათვალი, მათი შესრულების სავარაუდო გრაფიკი და შედეგები საანგარიშო პერიოდების მიხედვით**

| № | ამოცანის დასახელება | ამოცანის შესრულების სავარაუდო დრო საანგარიშო პერიოდების მიხედვით | ამოცანის შედეგი საანგარიშო პერიოდების მიხედვით |
|---|---|---|---|
| 1 | (მაგ. ) პროექტის ირგვლივ არსებული ლიტერატურის მოძიება/შესწავლა | (მაგ., I საანგარიშო პერიოდი) | (მაგ. მოძიებული და განხილულია პროექტის ირგვლივ არსებული ლიტერატურა და წარმოდგენილია დისერტაციის შესაბამისი თავი ) |
| 2 | | | |
| 3 | | | |
| 4 | (მაგ., საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა) | (მაგ., II საანგარიშო პერიოდი ) | მონაწილეობა მივიღე საერთაშორისო სამეცნიერო |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | და ა.შ. | კონფერენციაში |

1.3 <u>პროექტით დაგეგმილი კვლევის მოსალოდნელი შედეგები</u> (აღწერეთ: პროექტის დასრულების შედეგად მოსალოდნელი ახალი ან უფრო სრულყოფილი ცოდნის მნიშვნელობა კვლევის მიმართულებისა და მომიჯნავე სფერო(ები)სათვის; (არაუმეტეს 700 სიტყვა)

## 2. დოქტორანტის აკადემიური გამოცდილება

დოქტორანტის წინა საკვალიფიკაციო ნაშრომისა და სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული უკვე შესრულებული კვლევის (არსებობის შემთხვევაში) მოკლე აღწერა (არაუმეტეს 700 სიტყვა)

## 3. პროექტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის დასაბუთება

მოკლედ აღწერეთ და დაასაბუთეთ პროექტში დაგეგმილი შესყიდვები, მაგალითად, ელექტრონულ მონაცემთა ბაზებით და ელექტრონული ბიბლიოთეკებით სარგებლობის უფლების, სადისერტაციო კვლევისთვის საჭირო ლიტერატურის, სასწავლო და კვლევითი პროცესისათვის საჭირო კომპიუტერული და სხვა ტექნიკური საშუალებების, წარმოადგინეთ ლაბორატორიული სამუშაოებისათვის საჭირო საშუალებების/საველე სამუშაოების ხარჯების მიზანშეწონილობა, სამეცნიერო ან სასწავლო ღონისძიებაში მონაწილეობის, უცხოეთში სხვადასხვა ვიზიტის ხარჯების დასაბუთება (არაუმეტეს 700 სიტყვა).

**დანართი N3**

**დამტკიცებულია**
**სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური**
**დირექტორის 2014 წლის 12 ნოემბრის N111 ბრძანებით**

**დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსში პროექტის შეფასებისათვის საჭირო ექსპერტების რაოდენობა, პროექტის საბოლოო ქულის დაანგარიშების მექანიზმი და თანაბარქულიან პროექტებს შორის უპირატესის გამოსავლენად შეფასების კრიტერიუმებს შორის პრიორიტეტული კრიტერიუმები**

1. კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფი რეგისტრირებული პროექტები შესაფასებლად გადაეცემა დამოუკიდებელ ექსპერტებს. პროექტის შეფასება უნდა განახორციელოს ორმა ექსპერტმა (ერთი ადგილობრივი, ერთი უცხოელი);
2. თუ უცხოელი ექსპერტისათვის გადაცემული პროექტი დადგენილ ვადაში არ შეფასდა ან/და ექსპერტმა უარი თქვა შეფასებაზე, შესაძლებელია პროექტი შესაფასებლად გადაეგზავნოს მეორე შეფასებისთვის ადგილობრივ ექსპერტს;
3. იმ შემთხვევებში, როცა პროექტის შეფასებებს შორის განსხვავება 20 ქულაზე ნაკლებია, საბოლოო შეფასება გამოითვლება საშუალო არითმეტიკულით.
4. იმ შემთხვევებში, როცა პროექტის შეფასებებს შორის განსხვავება 20 ან მეტი ქულაა შესაფასებლად გადაეცემა ეგრეთ წოდებულ დარგობრივ პანელს.
5. დარგობრივი პანელი აფასებს პროექტს „დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 სექტემბრის N128/ნ ბრძანებით დამტკიცებული შეფასების კრიტერიუმებით და წერს შესაბამის ქულას. პანელი საბოლოო გადაწყვეტილებას ქულასთან დაკავშირებით იღებს კენჭისყრით, თანაბარი ხმების შემთხვევაში პანელის თავმჯდომარის ხმას აქვს უპირატესობა.
6. დარგობრივი პანელის მიერ დაწერილი ქულა წყვილდება უკვე არსებული ორი ქულიდან ყველაზე ახლო მყოფ ქულასთან და საბოლოო შეფასება გამოიანგარიშება საშუალო არითმეტიკულით; (მესამე ყველაზე შორს მდგომი შეფასება აღარ გამოიყენება);
7. დარგობრივი პანელები კომპლექტდება საჭიროების მიხედვით შესაფასებელი პროექტების სამეცნიერო მიმართულებების გათვალისწინებით. თითოეული პანელის შემადგენლობაში შედის არანაკლებ სამი ადგილობრივი ექსპერტი;

8. პანელის წევრებისათვის უცნობია სხვა შეფასებების შესახებ. პანელის წევრი ვერ გახდება ექსპერტი, რომლესაც უკვე მონაწილეობა აქვს მიღებული  რომელიმე პროექტის შეფასებაში.
9. თუ მიღებული ორი შეფასებიდან ორივე შეფასება 70 ქულაზე ნაკლებია მიუხედავად მათ შორის 20 ქულიანი სხვაობისა, პროექტი აღარ გადაეცემა დარგობრივ პანელს შესაფასებლად.
10. თანაბარქულიანი პროექტებიდან უპირატესობის გამოსავლენად პროექტის შეფასების კრიტერიუმებს შორის უპირატესობა მიენიჭება:

ა)პირველ რიგში-პროექტის აკადემიური შეფასების ჯამურ ქულას;

ბ)მეორე რიგში-დოქტორანტის აკადემიური დონის შეფასების ჯამურ ქულას;

გ)მესამე რიგში-ბიუჯეტის მოცულობას (მცირებიუჯეტიანი პროექტი უპირატესია მაღალბიუჯეტიან პროექტთან შედარებით);

დანართი №4

დამტკიცებულია
სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის 2014 წლის 12 ნოემბრის N111 ბრძანებით

# დისერტაციის ხელმძღვანელის რეკომენდაციის ფორმა

*დოქტორანტის პირადი მონაცემები:*

| | |
|---|---|
| დოქტორანტის სახელი, გვარი | |
| სადოქტორო პროგრამის დასახელება | |

*რეკომენდატორის პირადი მონაცემები:*

| | |
|---|---|
| სახელი, გვარი | |
| თანამდებობა/აკადემიური თანამდებობა, დაწესებულების მითითებით | |
| აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი | |
| საკონტაქტო ინფორმაცია<br>(მისამართი, ტელეფონი, ელფოსტა) | |

1. რამდენი წელია/თვეა იცნობთ დოქტორანტს და რა პროფესიული და საქმიანი ურთიერთობა გაკავშირებთ მასთან (არაუმეტეს 1000 სიტყვისა)

| |
|---|
| |

2. გთხოვთ, შეაფასოთ დოქტორანტი შემდეგი ნიშნების მიხედვით:

| | | უმაღლესი | კარგი | დამაკმაყოფილებელი | სუსტი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | პროფესიული უნარ-ჩვევები | | | | |
| 2 | სამეცნიერო პრობლემატიკაში ორიენტირების უნარი | | | | |
| 3 | მიზანდასახულობა | | | | |
| 4 | პასუხისმგებლობის გრძნობა | | | | |
| 5 | მოქნილი აზროვნება | | | | |
| 6 | კომუნიკაბელურობა და პროფესიული ეთიკა | | | | |

3. გთხოვთ, განმარტოთ, რატომ აძლევთ დოქტორანტს რეკომენდაციას, დაფინანსდეს კონკურსში (არაუმეტეს 100 სიტყვისა)

4. გთხოვთ, დაახასიათოთ უნივერსიტეტში არსებული კვლევითი გარემო; უნივერსიტეტში არსებული მატერიალური რესურსები, რომელიც დაკავშირებულია დოქტორანტის კვლევასთან; უნივერსიტეტის გამოცდილება აღნიშნულ დარგში; აკადემიური და მატერიალური რესურსები რამდენად უწყობს ხელს დოქტორანტის კვლევის განხორციელებას. აგრეთვე, თუ პროექტში დაგეგმილია ვიზიტი სხვა სამეცნიერო ორგანიზაციაში, მოკლედ დაახასიათეთ ამ ორგანიზაციის კვლევითი პროფილი, აკადემიური გარემო, გამოცდილება აღნიშნულ სფეროში და მატერიალური რესურსები, რომელიც ხელს შეუწყობს კვლევის განხორციელებას: (არაუმეტეს 700 სიტყვისა )

5.სხვა დამატებითი ინფორმაცია (არა უმეტეს 300 სიტყვისა)

რეკომენდატორის ხელმოწერა:

თარიღი:

დანართი N5

**დამტკიცებულია**
**სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური**
**დირექტორის 2014 წლის 12 ნოემბრის N111 ბრძანებით**

# დაგეგმილი აქტივობები გეგმა-გრაფიკის მიხედვით

| N | აქტივობა | რიცხვი | თვე | წელი |
|---|---|---|---|---|
| 1 | ფონდის მიერ კონკურსის გამოცხადება | 12 | ნოემბერი | 2014 |
| 2 | პროექტების ელექტრონული რეგისტრაცია | 1-21* | დეკემბერი | 2014 |
| 3 | განაცხადის ფონდში წარმოდგენა | 22-23** | დეკემბერი | 2014 |
| 4 | დოკუმენტებნაკლული პროექტების გადარჩევა | 24-25 | დეკემბერი | 2014 |
| 5 | დოკუმენტებნაკლული პროექტების ჩამონათვალის ფონდის ვებგვერდზე გამოქვეყნება | 26 | დეკემბერი | 2014 |
| 6 | ნაკლული დოკუმენტაციის ფონდში წარმოდგენა | 29დეკემბერი/6 იანვარი*** | დეკემბერი. იანვარი | 2014-2015 |
| 7 | პროექტების ტექნიკური ექსერტიზა | 26 დეკემბერი/6 იანვარი | დეკემბერი. იანვარი | 2014-2015 |
| 8 | კონკურსიდან მოხსნილი პროექტების ჩამონათვალის ფონდის ვებგვერდზე გამოქვეყნება | 8 | იანვარი | 2015 |
| 9 | ექსპერტების შერჩევა | 8-16 | იანვარი | 2015 |
| 10 | ექსპერტებისთვის პროექტების გაგზავნის დასრულება | 21 | იანვარი | 2015 |
| 11 | ექსპერტების მიერ პროექტების შეფასების დასრულება(პირველადი) | 23 | თებერვალი | 2015 |
| 12 | პროექტების შეფასების დასრულება | 2 | მარტი | 2015 |
| 13 | ექსპერტებთან ხელშეკრულების გაფორმება | 21 იანვარი/2 მარტი | იანვარი-მარტი | 2015 |
| 14 | საჭიროებისამებრ პროექტების პანელური შეფასება | 3-18 | მარტი | 2015 |
| 15 | რანჟირებული სიის დადგენა, გამარჯვებული პროექტების გამოვლენა, გენერალური დირექტორის ბრძანება და ფონდის ვებგვერდზე განთავსება | 19 | მარტი | 2015 |
| 16 | გამარჯვებულების მიერ ფონდში საგრანტო ხელშეკრულების გასაფორმებლად საჭირო დოკუმენტების წარმოდგენის ვადები | 20-23 | მარტი | 2015 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | გამარჯვებულ კონკურსანტებთან ხელშეკრულებების გაფორმება | 24-27 | მარტი | 2015 |

*ელექტრონული რეგისტრაცია სრულდება 24 საათზე

**განაცხადი მიიღება 18 საათამდე

***ნაკლული დოკუმენტაციის წარმოდგენა დასრულდება 18 საათზე

დანართი №6
დამტკიცებულია სსიპ – შოთა რუსთაველის
ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის 2014 წლის – 12
№ 11 ბრძანებით

| N | ხარჯის კატეგორია of expenditure Categories | 2015 წელი 2015 Year | | 2016 წელი 2016 Year | | 2017 წელი 2017 Year | | სულ სასწავლო კვლევითი გრანტი Education-research grant total |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | I საანგარიშო პერიოდის ტრანში I reporting period tranche | II საანგარიშო პერიოდის ტრანში II reporting period tranche | III საანგარიშო პერიოდის ტრანში III reporting period tranche | IV საანგარიშო პერიოდის ტრანში IV reporting period tranche | V საანგარიშო პერიოდის ტრანში V reporting period tranche | VI საანგარიშო პერიოდის ტრანში VI reporting period tranche | |
| 1 | სტიპენდია; Stipend; | | | | | | | 0,00 |
| 2 | სასწავლო და კვლევითი პროცესისათვის საჭირო კომპიუტერული და სხვა ტექნიკური საშუალებების შეძენა; Purchase of computer and other technical facilities necessary for education and research process | | | | | | | 0,00 |
| 3 | ლაბორატორიული სამუშაოებისათვის საჭირო საშუალებების შეძენის ან/და საველე სამუშაოების ხარჯები; Laboratory works and field trips related costs | | | | | | | 0,00 |
| 4 | პროექტის მიზნებისათვის დისერტაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაში (კონფერენცია, კონგრესი, სემინარი, ვორკშოპი, ტრენინგი და სხვა.) მონაწილეობის ხარჯები; For the purposes of the project, costs relating to participation in international scientific event to be agreed with dissertation supervisor (conference, congress, seminar, workshop, training, etc.) | | | | | | | 0,00 |
| 5 | დისერტაციის მიზნებისათვის დისერტაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით უცხოეთში კვლევითი ვიზიტის ხარჯები; Costs of research visits abroad for dissertation purposes to be agreed with dissertation supervisor | | | | | | | 0,00 |
| 6 | სასწავლო და კვლევითი პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი სხვა ხარჯები Other costs necessary for conducting education and research process | | | | | | | 0,00 |
| სულ სასწავლო კვლევითი გრანტი Education-Research Grant Total | | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |

შენიშვნა
Note

1 წლის მანწილზე მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 21000 ლარს . Requested amount should not exceed 21000 Georgian Laries during the year
2 სტიპენდიის თანხა დაანგარიშდება სასწავლო სემესტრების მიხედვით. Stipend amount will be calculated in accordance with semesters
მაგალითად: სემესტრი გრძელდება 4 ნახევარი თვე, მოითხოვება 5 თვის სტიპენდია. For example: If semester lasts for 4 months and a half, one should request a stipend for 5 months